ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №7

08 თებერვალი 2022 წელი

14:00 საათი

2022 წლის 08 თებერვალს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე (კომისიის თავმჯდომარე);
2. ირაკლი ხელაძე;
3. ლევან აბაშიძე;
4. სოფიო ჯაფარიძე;
5. ლილე ლიპარტელიანი;
6. მამუკა გუგეშაშვილი;
7. ვახტან სურგულაძე;

**მოწვეული პირები:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგებელი გაიოზ ვასაძე;

**სხდომის დღის წესრიგი:**

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში“ ქვეპროგრამის ფარგლებში მოქალაქეთათვის დახმარების გაცემის წესში სავარაუდო ცვლილებასთან დაკავშირებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი. კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

საკითხის წარმომდგენის კომისიის თავმჯდომარის ზურაბ ჩიკვილაძის ინფორმაციით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში" ქვეპროგრამის განხორციელების წესის მიხედვით განსაზღვრულია როგორც დახმარების მიმღები პირების წრე და დახმარების გაცემის წესი, ასევე ის სამედიცინო მომსახურებები რომელიც არ ფინანსდება ამავე წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტის საფუძველზე, კერძოდ: ,,სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში" ქვეპროგრამის განხორციელების წესის მიხედვით არ ფინანსდება ,,სამედიცინო დანიშნულების ინვენტარის შეძენა (იმპლანტი, სუპინატორი და ორთოპედიული ფეხსაცმელი, პროთეზი, სამედიცინო აპარატურა და მისთვის განკუთვნილი სახარჯი მასალები)". ხშირია შემთხვევები როცა, მოქალაქე კოლოსტომიური ჩანთის (პროქსიმა) დაფინანსების თხოვნით მიმართავს გამგეობებს, მაგრამ ზოგ შემთხვევაში შესაძლოა წესის მოქმედი რედაქციის ზემოთხსენებული ჩანაწერის გამო უარი ეთქვას მას დაფინანსებაზე. აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად ზურაბ ჩიკვილაძემ წამოაყენა წინადადება, რათა მოხდეს წესში ჩანაწერის მცირედი ცვლილება, რადგან არ იყოს ორაზროვანი და მკაფიოდ განისაზღვროს რა შემთხვევაში ფინანსდება მოქალაქეთა საჭიროებები. ინიცირებული ცვლილების თანახმად, წესით გათვალისწინებული დახმარებები, მძიმე დაავადებების მქონე და შეჭირვებული ბენეფიციარებისთვის მოქნილი და მეტად ხელმისაწვდომი გახდება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის გელა ჩივიაშვილის განმარტებით მან გაიარა კონსულტაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან და მიესალმება წესში ჩანაწერის დაკორექტირებას.

კომისიის წევრი ირაკლი ხელაძე დაეთანხმა კომისიის თავმჯდომარის ინიციატივას, რომ ,,სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში" ქვეპროგრამის განხორციელების წესში გახორციელდეს არსებული ჩანაწერის დაკონკრეტება.

კომისიის წევრი სოფიო ჯაფარიძე ასევე დაეთანხმა წესში ინიცირებულ ცვლილებას.

ზურაბ ჩიკვილაძემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის გამგეობების მხრიდან საბიუჯეტო წლის მანძილზე 4 თვის მონაცვლეობით მოქალაქეებს

შეუძლიათ მიიღონ ქვეპროგრამით განსაზღვრული ყველა კატეგორიის დახმარება, რომლის ჯამური ღირებულება წლის განმავლობაში არ აღემატება 1500 ლარს.

კომისიის წევრი მამუკა გუგეშაშვილი დაინტერესდა, წესის ინიცირებული ცვლილება ხომ არ გამოიწვევს, ქვეპროგრამით გათვალისწინებული ჯამური წლიური ლიმიტის ცვლილებას. კომისიის თავმჯდომარის თქმით ინიცირებული ცვლილება არ გამოიწვევს ქვეპროგრამით განსაზღვრული ბიუჯეტის თანხობრივ ცვლილებას.

კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანამ გამოთქვა მოსაზრება, რომ კომისიამ მიმართოს სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს წერილით, არის თუ არა კოლოსტომიური ჩანთა (პროქსიმა) სამედიცინო ინვენტარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა უპასუხა, რომ მან უკვე გაიარა კონსულტაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან და მიესალმებიან წესში ჩანაწერის დაკორექტირებას. ასევე, აღნიშნა რომ დღეის მდგომარეობით აღნიშნული წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტი არის ბუნდოვანი და წარმოდგენილი ცვლილება ჩანაწერთან დაკავშირებით წესს გახდის მეტად მოქნილს, რაც დაეხმარება გამგეობებს გადაწყვეტილების მიღებაში.

კომისიის წევრი მამუკა გუგეშაშვილი მიიჩნევს, რომ სწორი იქნება ქვეპროგრამის წესის ჩანაწერთან დაკავშირებით ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიამ გასცეს დადებითი რეკომენდაცია, რათა შემდგომში გამგეობებმა იხელმძღვანელონ ამ რეკომენდაციით გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ქ.თბილისის საბურთალოს რაიონის გამგებლის გაიოზ ვასაძის ინფორმაციით „სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში" ფარგლებში მოქალაქეთათვის დახმარების გაცემის წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტში ნახსენები ,,სახარჯი მასალები'' ხშირად არის დავის საგანი, ამიტომაც საჭიროა მისი დაკონკრეტება.

კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩივკილაძემ კომისიის წევრებთან ერთად წამოაყენა წინადადება შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში" ფარგლებში მოქალაქეთათვის დახმარების გაცემის წესის (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 29 დეკემბრის N21.1881.2088 განკარგულება) მე-2 მუხლის მე-6 პუნქტში ,,მედიკამენტები და სხვა საჭიროების მიმწოდებელი ვალდებულია მოდულის მეშვეობით ელექტრონულად წარმოადგინოს". ტერმინი ,,სხვა საჭიროება'' დაკორექტირდეს და მიეთითოს შემდეგი: ,,მედიკამენტები და სხვა საჭიროების (კოლოსტომიური ჩანთა (პროქსიმა), პამპერსი,

უგლუტეინო საკვები და სხვა მსგავსი სახის საჭიროება), მიმწოდებელი ვალდებულია მოდულის მეშვეობით ელექტრონულად წარმოადგინოს“ .

ინიციატივა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის მხრიდან დადებითად შეფასდა და კომისიის რეკომენდაციით გათვალისწინებული ცვლილება წარდგენილი იქნება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობის მიერ, ხოლო ცვლილებას განახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე